

ზინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი.

№ 23.

კვირა, ოქტომბერი 26, 1908 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეცკათ.

ადრისი: ქუთაისი „ზინაური საქმეების“ რედაქცია.

ზინაური: მწარე სიმაართე — კინკლეულთა; ნელსაყრელი სოკალასტობა (ლექსი); სარწმუნოება და მისი უარსმყოფელნი ჩვენში — სეფეველელისა; თჯაბი სოციალისტურ საზოგადოებაში — ნაცარყანელისა; ყოველად სამღვდელთა გაბრელო, ეპარქიოსა იმერეთისა (მოგონება) — ჯ. გრძილისა; წმ. დავით და კონსტანტინე — მღ. მ. კელენჯერიძისა; აკაკის (ლექსი) — დათიკო კიპაძისა.

რედაქცია უმოზრჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ქურნალის წლიური ფასი.

ყოველკვირული გაზეთი

„ზინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო — კაზაკოვის — შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში — წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ლებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.



მწარე სიმაართე.

თუ რამე სთქვი, მტრებს გადავიღებ. რაღაც უბედურება, მართალი უკვლახს სძულს და, როცა გაიგონებენ, ზირში გეცემინ: რა სთქვი, როგორ სთქვი, როგორ გაბედე, როგორ გკადრე და სხვა და სხვა. ეს კიდევ არაფერი. საკმარისია ერთი მართალი წამოგცდე ვინმეს, რომ საუკუნო მტერი შეიძინო, მტერი, რომელიც უკვდება გაუნოს მარტო შენ კი არა ზირად, არამედ შენს შვილს და შვილი-

შვილს. აი სწორედ ამაზეა ნათქვამი: „მართალი სთქვი, მართალი ხელში დაიკავე და ცხენი შეკაშმული იუოლიყო.“ სთქვა თუ არა მართალი, მოახტენი ცხენს და გეთ!... გასწი შორს, შორს, რომ არ ნახო ის მიდამო, სადაც მართალი წამოგცდა! სწორეთ გაჭირდა საქმე!... მაგრამ მართალი ხომ მაინც მართალია, კიდევ რომ არ ვსთქვათ. თვალი უკვლახს აქვს და უური და ნუთუ ვერ ხედავენ და არ ეუურებათ?! რა თქმა უნდა, ხედავენ და ეუურებათ, მაგრამ მოქმედებს ჭკონით, მათ მოქმედებას ვერ ამჩნევენ, რადგან არაფერს ამბობენ. და არ ამბობენ ბიტომ, რომ ცხენი არ ჭეხეთ, რომ გაიქცენ; ამიტომ ჩუმათ არიან, მაგრამ ეს სინუძე უვირილსე უარესია: ან ერთბაშთ იფეთქავს მათში დაგუბებული ბოლმა, ან სულ ჩამოგშორდებათ, თუ მაინც-და-მაინც მათ ტუავს ავრე რიგად არ ეხება თქვენი უმართებულო



მოქმედება. აი მაგ. ავიღოთ, თუ გინდა, სობორო, ქუთაისის საკათედრო სობორო. ვხედავთ, რომ იგი დღითი დღე ცარიელდება და ცარიელდება უხმოდ უღრტვინველად. მხოლოდ ხანდისხან შემოიჭვრიტინებენ შივ უკან ხელებ მოდებული ჩინონიკები, და ისიც მაშინ, როცა ოფიციალურად დაიბარებენ: ამა და ამ დღეს ეკლესიაში მობრძანდით ამა და ამ ოჯახითო. ამ დღისთვისაც მანც და მანც არ იწუსებენ თავს, მაგრამ სხვა დღეებს რომ შევადაროთ, რაღაც არა ჩვეულებრივ მოვლენას შევნიშნავთ. რა ვთქვათ? დაბერდა ქრისტიანობა? ალარ აქვს ის სიცხოველე, რომელიც ოცი ათასობით მსმენელს იხიდავდა ტამარში? დაელია ქრისტიანობას მსიბლავი იდეალები? შესძულდა ქრისტიანებს ტამარი, ეს მათი წმიდა წმიდათა, ეს მათი ძეუდრო ნავთსაუუდელი, სადაც ერთ წამს მანც შეეძლოთ მოესვენებიათ ტანჯული სული იმ შემხარავ და შემამწწუნებელ მოვლენათაგან, რომელსაც წარმოადგენს დღევანდელი ქუჩა? ერთ წამს მანც ეგრძნოთ, გულთ ეგრძნოთ, უძალესი სიწმიდე და სიხარული დუთის კალთას ქვეშ? შესძულდათ ის ყოველი, რაც მათ აქამდე სიბლავდა, იხიდავდა, აფრთოვანებდა, აქველებდა, აგულოვებდა და აბრძოლებდა სიკეთისა და სასუფეველისათვის? უთუოდ! მერე ვინ არის ამაში დანაშაული? ვაი სირცხვილო! ისევ ტამარის მსახურნი. დიან ტამარის მსახურნი! ამათ შეაძულეს საღისს ეკლესიას თავის ურწმუნოებით, უგულობით, უსასოე-

ბით, თავის კითხვით გალობით, თავის სიჩუმიტ, უსიტვეობით.

სხვას ეოლიფერს თავი დაფანებოთ და ავიღოთ მხოლოდ კითხვა გალობა და ქადაგება.

ძველი, მოციქულთა დროის და მერმინდელიც (ჩვენ უბედურ დრომდე) წირვა-ლოცვა შესდგებოდა ამ სამი უძთავრესი ნაწილისაგან, კითხვისა, გალობისა და ქადაგებისაგან. კითხვა ესლაც არის, მაგრამ რას ჰგავს ესლანდელი კითხვა. ძველი განძენებული კითხვის კილო შეცვლილია რაღაც უბრალო კითხვაზე: სამღვთო წიგნებს კითხულობენ ისე, როგორც განჯეთს, მოთხრობას, ზღაპარს, უბრალო წიგნებს. აი, თუ გნებავსთ, შებრძანდით სობოროში და უუურეთ მედავითნის კითხვას საწიგნზე. გეგონებათ, დემოკრატი შედგარს ჯირკზე და ჯიჯგინის ერთხელ და სამუდამოდ დახეპირებულ „ფრაზებსო“. აბა ვის მოივანს ასეთი კითხვა სასოებაზე, ვის აღუძრავს სამღვთო სურვილს მუდამ ეკლესიაში იაროს? განა არ კმარა ასეთი კითხვა უძინაარსო ფუქსავატ წიგნებისა, რომლებმაც აგვიძსეს უბეები, ჯიბეები, ოჯახები? საღვთო წიგნებს აქვს თავის საკითხავი კილო, რომლის მოქმედება ადამიანის გულზე ვამოცდილია უფრო მორწმუნე და წმიდა კაცთაგან, ვიდრე მე და ის მედავითნე ვართ, რომელიც სობოროში კითხულობს; და ჩვენ კემოზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ამ კილოს ასე თუ ისე შეცვლა. თუ ამის შეცვლა აშინირად შე-

სამღებელია, მამ შესამღებელი ყოფილს
გალობისაჲ „ოდელიას“ ხმაჲე თქმა.

გალობა! სად არის ახლა გალობა?
რომელიმე გალობა: რუსული, იმერული,
გურული, კახური. სად არის ან ერთი? ვის
გაუგონია სობოროში იგინი ამ უკანას-
კნელ სანებში? რუსული გალობა რომ არ
ჰქვია იმ ვუჭაბის „горлобѣіе“-ს,
რომელმაც ამ ორი წლის განმავლობაში
ეურები გამოგვიტეჲა და თლათ შეგვაძულა
რუსული გალობის სახსენებელი. ან კახუ-
რი გალობა სამ არ ჰქვია იმ „ო-ჰო-
ჰოი მამა, მამაო ჩვენო“-ს „ისპოღლანა
ხა-ხა-ხა“-ს, რომელსაც ასე თავმოძვონეთ
გალობენ ეპარხიალისტები და გალობ-
და წარსული საუკუნის ყოფილი სობო-
როს გუნდი? იმერული გალობა? მე დი-
დი ხნის მომსწრე არ ვახლავართ და ამ-
ბობენ, კაი დაგეძარათოს, კაის თურმე ამ-
ბობდნენ იმ ნეტარსენებულ დროს, რო-
ცა... მაგრამ ვერ უიტყუით როცა, რად-
გან რუსული ანდახა: „кто старое
помянетъ, тому глазъ вонъ“
თავის ძალაშია და თვალის წამოთხრის
გვეძინია. უიტყუით მხოლოდ, რომ წინეთ
მონასტრები (განსაკუთრებით კელათი) და
სობორო თურმე ბუდე იყვნენ საეკლესიო
გალობისა, სკოლა, საიდგანაც ვრცელდუ-
ბოდა მთელ ეპარქიის ზურგზე საეკლესი-
სიო გალობა. ესლან? ესლან მონასტრებიც
და სობოროც თვით მოკლებულნი არი-
ან გალობას, თრივეგან დიაკვნები დი-
დინობენ, როგორც უნდათ ისე. ამას წი-
ნათ ყოვლად სამღვდელთა ლეონიდემ გა-

ნიმრახა კელათში ბერებისთვის გალობა
შეესწავლებია, მაგრამ, მკონი, ცდამ ამ-
ოდ ჩაიარა, რადგან დღეს სრულებით ადა-
რავინ ცდილობს ამ საგანზე. მაგრამ თა-
ვი დავანებოთ მონასტრებს (თუმცა ძა-
ლიან კი გვეჩვენება მათი თავის დანებუ-
ბა, რადგან ღვთის მსახურება აქ უნდა
სრულდებოდეს სავსებით და ყოვლად უნა-
კლულოდ), ვილანაზრავთ სობოროზე,
რომელიც მაკალითი უნდა იყოს ეპარ-
ქიის ეკლესიისათვის ისე, როგორც
ეპისკოპოსისა მღვდელთათვის. რას წარ-
მოადგენს დღეს სობორო გალობის მხრით?
სიტყვაც არ გვაქვს, რომ ავსწეროთ
მისი უბედრეკი მდგომარეობა ამ მხრით!
უსაცილოთ იზოდიაკვნების კაი ხმა აქეთ
და გვარინანდაც გალობენ, მაგრამ მინც
ვერ ამღევენ საღმრთო მსახურებას შესა-
ფერ მშვენებას. და ეს კი დიდი ნაკლია.
გალობა სამღვთო მსახურების ერთი უძ-
თავრესი ნაწილია, ნუ დაგვაავიწყდება, ამი-
ტომ იგი შესაფერად ვამშვენებელიც უნ-
და იყოს, რომ ადამიანის გულის სიღრ-
მეს სწვდეს და გაუღვიძოს მირუღური,
მიძინებული საწმუნთება და სასოება. გა-
ლობა უნდა უთხრობდეს ადამიანის გულს
ღვთის დიდებას და ძრავალმოწვადებას,
უსატავდეს ქვენიურ ცხოვრების წარმო-
მავლობას და მის არარაობას ღვთის სა-
ზღვროების წინაშე, გალობა ქვის გულს
უნდა ალხობდეს თავის მომხიბლავ ჳარ-
მონიით და არა ეურებს უტეხავდეს და თავ-
სარს სცემდეს მსმენელს. და სობოროს
აქვს სამკვლეობა, თუ მოიხმარს. არიან გა-

ლობის მცოდნენიც, რომლებიც სულით და გულით მოჰკიდებენ საქმეს ხელს და ბრწეინვალებად შესრულებენ თავის მოვალეობას. ხუენ კი, რომლებსაც კიდევ შეგონების ცოტა ოდენი სურვილი ეკლესიაში სიარულისა, მოუთმენლად ველოდებით ნამდვილ ვალობის გავონებას არა თუ ძარტო სობორში, არამედ დანარჩენ ქალაქის ეკლესიებშიდაც, რომლებიც სულ აღარაფერს გვანან იმ მხრით.

შესაძებ საშვალება, რომელიც იხიდავდა და დღე'აც იხიდავს ქრისტიანებს ეკლესიაში, არის ქადაგება. ამ მხრით სულ დაქვეითებულია ქალაქის ეკლესიები და ის ადგილიც, რომელიც განსაკუთრებით უნდა ბრწეინავედეს, ვითარცა ლაშვარი, რათა იხილონ საქმენი მისნი კეთილნი და მსგავსადვე ადიდებდენ მამსა მისსა სეცათასა. შერე როდის დადუძდა ხმა ძალადებელისა ეკლესიაში? როცა აღიძალდა ხმა უღვთოებად, როცა თვატრები, სახალხო უნივერსიტეტები, ქუჩები და უბეტეს ნაწილი კერძო სასლებისა გადიქვენ ღვთის უარის შოფელ ახრების განსატარებულ ახპარეხებად. როცა ეველა ზირველ შეხვედრისათანავე ისწრაფის დაგიმოწმოს თავის უღვთოება, ურწმუნოება, თანხმობის ნიძანი ხომ არ იქნება ამ დროს შვექსთა დუძილი?! თუ უვიცობისა, უენობისა, დაუდევრობისა უდებებისა, მცონარებისა? თუ ასეა არც ერთი მწექსნი ღირსი არ არის ამ სახელისა და უნჯობისა მიდგობოდენ, რომ თავის სიხუმით და ხმაძმოუღებლობით არ აცდუნებდენ, ვისაც კიდევ

შერჩენია სარწმუნოების ნატამალი. ჩამოდექით მსწავლულხო და ბრძენხო შვექსხო, ღმერთი აღადგენს თქვენ მაგიერ გალილეველ მეთვეხეებს, რომლებსაც არ შეეძინდებათ თვით სელმწიფის წინაშე სწამონ ჰემმარიტება, არეოპაგს აუწეონ ჯვარცმული, რომენთ დაუმტკიცონ ფუქსავატობა მათი სიბრძნისა და კუჭის მსახურებისა. იცოდეთ, რამ ძალი ღვთისა უძლეურებასა შინა მოქმედობს! იცოდეთ ისიც, რომ ცხოვარნი მოვლავატრონობას თხოულობენ ნაცვლად იმ რძისა და მატელისა, რომლითაც თქვენ ივეებებით და იმოსებით! ხოლო თუ ესენი ხედვენ ტაძარში „სამინელსა მას მოახრებისასა“ ნუ სძრახავთ. რომ ვარბიან. დაუბრუნეთ ღვთის მსახურებას თავისი შვირფისი სამკაულები: კითხვა, ვალობა და ქადაგება და თქვენ დაინახავთ, რომ ეკლესიაში ტევა აღარ იქნება. გაიხსენეთ კრიგოლ ღვთის მეტეველის ძავალითი, რომელმაც დაიწყო ქადაგება ჰატარა ოჯახში იმ დროს, როცა კონსტანტინოპოლში თითებზე ითვლიდენ მართლმადიდებლებს, მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ მთელი კონსტანტინოპოლიც ვერ იტევადა მათ! აიღეთ ძავალითი თანამედროვე ცხოვრებიდან, თუ როგორი ფუქსავატი, ეოვლად უძიხნო და ხშირად დამღუპველი მომღვრება იჭერს ადგილს ადამიანის გულში მხოლოდ იმიტომ, რომ მას თავის მქადაგებლები ჰეავს, თავის თავდადებული მორწმუნეები. მაგრამ ვაი თუ ნამდვილი მორწმუნე არა ვარო?! წინააღმდეგ შემთხვევაში „სახესებისაგან გულისა ბავენი იღალადებენ“, რადგან „გულათა გვრწამს სიმართლე, ხოლო ბავითა აღვიარებთ საცხოვრებლად“, როგორც იტევის ჰავლე მოციქული.

კინკლეფელი.

ხელსაყრელი სოციალისტობა.

სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში*)

V.

პროლეტარებს გაუმარჯოს!
 იძახოდე უნდა ხშირად,
 და იმათი წარმატება
 მიიჩნიე, თუ გინდ, ჩხირად.
 თითო ორორ გოოშას შენთვის
 არ დაზოგვენ შესაწირად,
 ბატონურათ შენი რჩენა
 მათ არ დაუჯდებათ ძვირად.
 სოფლად გლეხებს შენი რჩევა
 მოაჩვენე ტკბილ ნექტარად,
 და სულ ყველა გადანათლე
 უსახლკარო პროლეტარად.
 ყველას ხარკი გამოართვი
 გაიტენე სქელათ ჯიბე,
 დღეს შიმშილით რომ იკაკვი,
 ხვალ ყადივით გაიჯგიმე.
 და იძახე: გაუმარჯოს
 პროლეტარებს ყველასაო!
 ჯერეთ უნდა გავძვალ-ვტყავდეთ,
 მერმეთ ენახავთ შველასაო.
 დაარწმუნე: ერთად ერთი
 მე ვარ მუშის პარტიაო,
 სხვა სულ ყველა მტრები არის,
 შენი მოლაღატეაო.
 ტყვილი მართლად გაასაღე,
 აქია და ბოქიაო...
 ფული საგზლიათ შეინახე
 სოფლად მონაპოქიაო.
 მოიარე: გერმანია,
 იტალია, საფრანგეთი,
 ფულები რომ დაგელიოს
 სახლისაკენ „ოლან-გეთი“.
 აქ სამშობლოს სიყვარულზე
 გაუცრუე ხალხს იმედი,
 და ეფლიდე, ეგებ შეგრჩეს
 იმათ ზურგზე ანაღლეტი.
 ჰო! ამგვარი პრაპაგანდა
 სოციალისტს დაამშვენებს,
 და რამდენათ მით ხალხს არგებ
 ის ემკ ღმერთი ააშენებს!....

21 ივნისი 1908 წ.

დარვინის თეორიის მიმდევართა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ შორეულ უთვალავ საუკუნოების სიღრმეში ცხოვრობდა ერთგვარი არსება, რომელიც იდგა ადამიანისა და მაიმუნის შუა, რომელიც არც მთლად ადამიანი იყო და არც მაიმუნი, ერთსაც წაგავდა და მეორესაც და, აი, სახელდობრ ეს არსება გახდა წინაპრად დღევანდელი ადამიანისა და მაიმუნისა, ამ არსებიდან წარმოიშობნენ შემდეგში ერთის მხრით ადამიანი და მეორეს მხრით მაიმუნი, ამ საერთო და საზიარო სათაურიდან მისჩქეფს განუწყვეტელად როგორც კაცისა, ისე მაიმუნის ჩამომავლობის მდინარეო. ერთი სიტყვით, აღნიშნული პირების შეხედულებით ადამიანი, მართალია, პირდაპირი შვილი და ძმა არ არის დღევანდელი მაიმუნისა, მაგრამ ყოველ შენთხვევაში ცხოველის ჯილაგისა, ცხოველის ჩამომავლობისა, ცხოველის ფესვისა და ძირისა მაინც არის, მაინც ცხოველის ნათესავად რჩება.

როდესაც წყაროს სათაურის მიგნება სურთ, ჩვეულობრივ აპყვებიან ხოლმე აღმა წყაროს მიმდინარობას და კიდევ შეუტკლომელად აღწევენ მიზანს. ჩვენც სწორეთ ამ გამოცდილ და სწორ საშუალებას უნდა მივმართოთ, ე. ი. თუ გვსურს აღმოჩენა კაცისა და მაიმუნის ჩამომავლობის მდინარის ნამდვილი სათაურისა, უნდა შევყვეთ ერთის მხრით იმ მდინარეს, რომელსაც მივყევართ კაცისკენ და მეორეს მხრით იმას, რომელსაც მივყევართ მაიმუნისკენ. თუ ორივე მდინარეები შეერთდენ სათაურებით, თუ ესენი ბოლოს ერთი და იმავე მდინარის ტოტებად დარჩენ, თუ დავინახეთ, რომ ერთსა და იმავე ადგილიდან გადმოსჩქეფენ, მაშინ აღარაფერი ხაზი და ლარი საქარო აღარაა: დამტკიცებული იქნება ადამიანისა და მაიმუნის ნათესაობა, მათი ჩამომავლობითი ზიარობა. სამაგიეროდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კა-

იხ. „შინ. საქმეები“ № 21.



ცისა და მაიმუნის ჩამოშვების მდინარეში ვერსად ვერ მისწვდნენ ერთმანეთს სათაურებით, თუ მათ შუა მუდამ წყალ გამოყვლი სიმაღლე (водораздельная высота) დარჩა, მაშინ კაცისა და მაიმუნის ჩამოშვების იგივეობა უნდა ვცნათ მოგონილ ზღაპრად და სუბუქ ოცნების ნაყოფად.

საკითხი მხოლოდ იმაშია—ად ვეძიოთ ეს მდინარე?

იქ, სადაც თითონ დარვინისტები ეძებენ მას: მიწის გულში, დედამიწის სიღრმეში, პალეონტოკიურ ფორმებში და მომენტებში.

რასაც ოდესმე დედამიწაზე უცხოვრია და უმოქმედაა, ის უნიშანწყლოდ არ დაკარგულა. მართალია, დროთა ვითარებაში ბევრი ორგანული არსება გადაშენებულა, ბევრი ცხოველი ამოწყვეტილა და მოსპობილა დედამიწის პირზე, მაგრამ მათი კვალი მაინც არ დაკარგულა, მათი ნაშთები, მათი ჩონჩხები მაინც დაცული და შენახული აღმოჩნდა დედამიწის ქვეშ. უნდა ვსთქვათ, რომ სწორეთ იშვიათი და შეუღარებელი რამ ყოფილა მიწის გული ყოველ გვარ ნაშთთა დასაცავ-შესანახად. ვინ მოსთვლის რა განძეულობა, რა სიმდიდრე არ ამოალაგეს მეცნიერმა გეოლოგებმა ამ სამაგალითო საღაროდან! ვინ არ ხედავს, რა დიდი და ჩინებული დახმარება გაუწიეს მეცნიერებს გეოლოგებმა მიწიდან ამოღებულ საგნებით და პალეონტოლოგურ საბუთების აღმოყენით! ბევრი რამ, რაც ბნელი და მიუხვედრელი იყო კაცისთვის ძველი საუკუნოების ხალხთა ცხოვრებაში, მზეებრ ცხადი და ნათელი შეიქმნა მიწიდან ამონათრახი ნაშთების საშუალებით, ბევრი ჰიპოტეზა და საცილობელი სიმტკიცის მოსაზრება გადიქმნა სრულ ქეშმარიტებად პალეონტოლოგურ ნაშთთა აღმოჩენის შემდეგ. ამიტომ საკვირველი არაა, რომ შეგნებულ ქვეყნებში არაფერ ხარჯს არ ზოგავენ დედამიწის გულისა და სიღრმის შესწავლა-გამოკვლევისათვის, რომ მეცნიერების წრფელი მუშაკნი სიცოცხლეს სწირავენ და თავს აკლავენ პალეონტოლოგურ შრომა-ძიებებს.

რა კითხი უნდა, რომ ეს გარემოება ვერ გამოეპარებოდათ დარვინისტებს; მათ თავიდანვე

დიდი ყურადღება მიაქციეს გეოლოგიას, ზედმიწევნით შესწავლეს პალეონტოლოგია, მიწიდან ამოალაგეს ორგანული არსებათა უთვალავი ნაშთები და მეცნიერული გამოკვლევით თვალსაჩინო გახადეს ბევრი რამ ისეთი, რაც მანამდე ძნელი გასაგები იყო. ასეთია, სხვათა შორის, მათი ღვაწლი მაიმუნების თანდათანობითი განვითარების საკითხის შესახებ. დღეს შედგენილი აქვს მეცნიერებს თითქმის მთელი პალეონტოლოგიური ხე მაიმუნთა განვითარებისა. ამ ხეს შ აგენს მიწიდან ამონათხარი სრული მაიმუნის თვრამეტი გვარი და ნახევარ მაიმუნთა ოცდაათი გვარი. აქ ფხიზელი ადამიანისათვის ყველაფერი ადვილად მისახვედრი და გასაგებია. დარვინისტთა ავად ხსენება ალებულ შემთხვევაში უსამართლობა იქნება. გავიხსენოთ ახლა ადამიანი და შევხედოთ, ამგვარადვე დაყენებული მისი განვითარების საქმეც? დარვინის მოძღვრების მღვე რთ აქეთ კაცის ჩამოშვების პალეონტოლოგიური ხის მსგავსი რამ? შეუძლიანთ მათ წამოგვიყენონ მიწიდან ამონათხარი რამდენიმე გვარი ან სახე კაცისა ისე, როგორც ამას სჩადიან მაიმუნების შესახებ? არა და არა. მიწიდან ამოღებულმა, ვინ იცის რა დროინდელმა, კაცის ძვლებმა ქვეყანა დაარწმუნა, რომ ადამიანი ყოველთვის ადამიანი ყოფილა, ყოველთვის ერთგვარი ყოფილა და არასოდეს საერთო და საზიარო მდგომარეობა ცხოველთან მას არ განუცდია.

რაკი სიტყვამ მოიტანა, მეტი არ იქნება გავიხსენიოთ მოკლეთ ძველი დროის ადამიანის ძვლების აღმოჩენის ისტორია.

პირველი ალაგი უნდა დაუთმოთ ევრედ ცნობილ პითეკანთროპს (პითეკანტროპუს ერეკტუს). 1893 წელს კუნძულ იავაზე, ერთი მდინარის ძველ ნადენში გოლანდიის სამხედრო უწყების ექიმმა ვეგენი დიუბუამ აღმოაჩინა ერთი მეორეზე კარგა დაშორებით ორი ყბა, თავის ქალას ზემო ნაწილის ძვლები და თავის სარქველი. დიუბუამ შეაერთა ეს ძვლები, მოხაზა პითეკანთროპის თავის სრული მოყვანილობა და 1895 წელში მომხდარ ზოოლოგთა მესამე კრებას ლეიდენში წარუდგინა ვრცელი მოხსენება. ექიმი ამტკიცებდა, რომ

მისგან ნაპოვნი პითეკანთროპი სწორეთ იმ არსებას წარმოადგენს, რომელსაც დღევანდლამდე ამაოდ დაეძებდნენ სწავლულები, რომელიც არის კაცისა და მაიმუნის ერთი მეორეზე გადამხველი რგოლი. კრების ცნობილმა თავმჯდომარემ ვირხოვმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელს მეცადინეობისა და საკითხის გარკვევის გულმოდგინეობისთვის, მაგრამ დაუმატა, რომ მთელ ამ შრომას და მოხსენებას არავითარი მეცნიერული სიმტკიცე, არავითარი საბუთიანობა და დამკდარობა არ ახლავს, რომ ეს ძეგლები საკმარისი არაა მათზე მსჯელობის დასაწყარებლათ, დიუბიუს მოხსენება საყურადღებო იქნებოდა მეცნიერთა კრებისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, მას რომ კრებისთვის წარმოედგინა სრული ჩონჩხი და არა რამდენიმე ძეგლი. ასე გათავდა ლეიდენში სადღო კითხვა, ხოლო შემდეგ ლეიდენის კრებისა მეცნიერებამ ნამდვილათ მიაკვლია და დაამტკიცა, რომ ეს პითეკანთროპი არის ჰილობალტთა (ჰილობალიტდენ) ჯგუფის ჩვეულებრივი მაიმუნი და არა სხვა რამ ცხოველი.

ამ გვარჩევა თითქმის ნეანდერტალური თავის ქალას ისტორიაც. ეს თავის ქალა ნახეს წარსული საუკუნის ორმოცდაათ წლებში რეინის მახლობლათ დიუსელის ხეობის ერთ მღვიმეში. ვინ მოსთვლის, რამდენმა ანტროპოლოგმა გააშინჯა იგი და რა დასკვნები გამოჰყავდათ! ზოგი გაიძახოდა ეს ძვალი ნახევარკაცისა და ნახევარ ცხოველის თავიაო, ზოგი ამტკიცებდა ეს კაცის განსაკუთრებული გვარის თავის ქალააო და სხ. და სხ. ბოლო მოულო ცილობას ისევ ცნობილმა ვირხოვმა: მან მეცნიერულად დაამტკიცა, რომ ეს თავის ქალა არც რაღაც ზღაპრულ არსებას ეკუთვნის და არც ადამიანის განსაკუთრებულ გვარს, ეს არის თავი უბრალო კაცისა, საქმე გვიძნელდება და ერთბაშად ვერ მივხედრილვართ სინამდვილეს იმის გამო, რომ ამ საინტერესო თავის პატრონი უაფილა ნაკლულევანი, მახინჯი აგებულობისა იმ გვარათ, როგორც დღესაც არა იშვიათათ შევხვდებით ხოლმე ქონდრის ტანისა, ნამცეცა თვალბიანს და პატარა თავის მახინჯ ადამიანებსო.

აი ყველაფერი ის, რასაც დღევანდლამდე მეცნიერებამ მიაგნო მიწის გულში ადამიანის შესახებ. მოყვანილი ფაქტებიდან ცხადი ხდება, რომ მეცნიერებას ჯერ ვერ მოუხერხებია კაცისა და მაიმუნის შორის შემაერთებელი ხილის გადება, ვერ უპოვია მათი შეპაკეშირებელი რგოლი, ვერ ამოუვსია მათ შორის არსებული ხრამი, ვერ მიუგნია კიბის იმ ცოცხალი საფეხურისთვის, რომეღუზედაც შემდგარი პირუტყვი ამაღლდა ადამიანობამდე, ვერ აღმოუჩინია ადამიანსა და ცხოველს შუა მდგომი არსება და ეს გარემოება კი მეტად საგულისხმოა, ამან უნდა გადაწყვიტოს დარვინის თეორიის ბედი და იღბალი, ამაზე უნდა იყოს დამყარებული და აშენებული დარვინისტების მსჯელობა, ამიტომაა, რომ მეცნიერებას არა სწამს დარვინისა და მისი მიმდევრების აზრი ადამიანის ჩამომავლობის შესახებ.

მაშ რას უნდა მივაწიროთ, რომ ჩვენში ასე ფართოთაა მოდებული დარვინის მოძღვრება კაცის ჩამომავლობის შესახებ? რა არის მიზეზი, რომ მაიმუნთან ძმობა და ნათესაობა ასე სწყურიათ ჩვენში მწიგნობრობის არა მარტო წვრილფეხობას, არამედ უნივერსიტეტებში გავლილ ექიმებს, ვექილებს, მასწავლებლებს და ყურებს გვიტეკავენ თავიანთ ნაწერებით ამის შესახებ?

დეე საზრიანი მკითხველი თითონ ჩაუფიქრდეს აღნიშნულ მოკლენას და თითონ დასახელოს მისი ნამდვილი მიზეზი. ჩვენ კი ჩვენის მხრით ვიტყვი, რომ ჩვენებურ დარვინისტებს რომ ნამდვილათ მეცნიერება აინტერესებდეთ, ეცოდინებოდათ მეცნიერთა აზრი დარვინის ჰიპოტეზის შესახებ, წარმოთქმული ვირხოვის პირით 1877 წელში ბუნებისმეტყველთა კრებაზე მიუნხენში*), ჩვენებური დარვინისტები რომ სიმართლის მოყვარულნი იყვნენ, გაგონილი ექნებოდათ ვამოჩენილი პროფესორ ბრანკოს სახელი, რომელიც, სხვათა შორის, სწერს: „ადამიანი გაჩენილა დილლუვიის ხანაში, მაგრამ უგვარტომოდ, უცბად; მის წინაპარს ჩვენ ვერ ვიცნობთ, ადამიანი ალბად

*) იხ. ჩუნი წერილი „შინ. საქ.“ № 15.

ადამიანად იქნა გაჩენილი. აქვს თუ არა მაი-
შუნს რაიმე ნათესაობა ადამიანთან, ვერაფერს
ვერ ვიტყვი... და სხ., ჩვენებური დარვინი-
სტები რომ თვალყურს ადევნებდნენ თანამე-
დროე მეცნიერებას, მათ არ გამოეპარებოდათ
საფუძვლიანი შრომა კრამბერგერისა ადამი-
ანის ამონათხარი ფორმების შესახებ, მოთავსე-
ბული ნემცურ ჯურნალში: „Biologisch Zen-
tralblatt 1905 წ.

უვიცია ნამოქმედარი ზაგზლათ არ გამო-
გვადგება!

სეფეველელი.



ოჯახი სოციალისტურ საზოგადოებაში.

(ვ. კატრინის თხზულებიდან „სოციალიზმი“). *)

ექვს გარეშეა, რომ ოჯახი შეადგენს
ძირითადს და აუცილებელს საფუძველს წე-
სიერად მოწყობილი საზოგადოებისას. თუ
სოციალიზმი არღვევს ოჯახს, ის ყოფილა
მტერი წესიერებისა, ცვილიზაციისა და ქრი-
სტიანობისა.

აი ერთი ზაფხულის ღამის სიზპართაგანი,
რომლებითაც ასე მდიდარია ბებელის წიგნი.
რადენი უმსგავსობაა და უსამართლობა ამაში,
ეს ლაპარაკად არც კი ღირს. მაგრამ ახალი
თაობის აღზრდა რომ მთლად სახელმწიფოს
ეკისრება, ეს ასეც უნდა იყოს. თუ სოცია-
ლიზმს მართლა მიზნათ აქვს მიადწიოს არსე-
ბობის პირობათა სრულს და საზოგადო თანა-
სწორობას, მან უპირველესად ყოვლისა, უნდა
მოიშოროს თავიდან პირველი და საზოგადო
წყარო საზოგადოების უთანასწორობისა—სა-
ხელდობრ არა ერთნაირი სწავლა და აღზრდა.
ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აღზრ-
და გახდება საზოგადოების მოვალეობად. რა-
საკვირველია, ვერაფერ ვერ დაუშლის დედებს
მოუარონ თავის შვილებს მათი სიცოცხლის
პირველს წლებში, მაგრამ დედაც და შვილე-
ბიც უნდა იმყოფებოდნენ საზოგადოების მზრუნ-

იხ. „ზინ. საქ.“ № 22.

ველობის ქვეშ. დაქირავებული მუშები, რასა-
კვირველია, აღარ არიან. ეჭიშები, დოსტაქრე-
ბი, ბებიები საზოგადოებას ემსახურებიან.
ვისაც შეუძლიან შრომა, მან მონაწილეობა
უნდა მიიღოს საზოგადო წარმოებაში; საზო-
გადოების ვალია იზრუნონ მათზე, ვისაც შრო-
მა არ შეუძლიან; ამიტომ საზოგადოებისვე მო-
ვალეობაა ზრუნვა მშობიარის და მისი შვილის
მოვლა-ყურისგდება. ბავშვებზე მზრუნველობა
თუ მშობლებს მიენდო, მაშინ ადვილად მოხ-
დებოდა, რომ უშვილო ცოლქმარი, რომელსაც
არაფერი არ დაუშლიდა შრომას, ორჯერ-სამ-
ჯერ მეტს იმუშავებდა, ვიდრე ის ცოლქმარი,
რომელსაც მოსაველელი ეყოლებოდა ხუთი ან
ექვსი შვილი და რომელიც ამიტომ ხშირად
უნდა მომცდარიყო საქმეს. ხოლო, თუ ამას-
თანავე დედამა ავად გახდებოდა, მაშინ ოჯა-
ხი სიღარიბეში ჩავარდებოდა, უშვილო ცოლ-
ქმარი კი იცხოვრებდა სრული კმაყოფილებით.
შეუძლიან განა რომელსამე დედას მოსამსახუ-
რის დაუხმარებლად საზრდოვოს და აღზარ-
დოს ექვს ან შვიდ შვილთაგან შემდგარი ოჯა-
ხობა? ამ რიგად, თუ შვილების აღზრდა დაე-
კისრება მშობლებს, მაშინ საზოგადოება მაინც
ვალდებულია, შვილების რაოდენობაზე მიხედ-
დვით, დახმარება აღმოუჩინოს მათ საზოგადო-
ების შემოსავლიდან, ხოლო ავადმყოფობის
დროს თავს იდვას შვილებზე ზრუნვა... მოკლედ,
ტივრთი შვილების აღზრდისა სახელმწიფომ უნ-
და მოხადოს მშობლებს.

იქნება მშიშარათა დასამშვილებლად ბებე-
ლი ამტკიცებს, რომ შვილების აღზრდის საქმე
მშობლების ხელში იქნებაო. „ამ მიზნისთვის
დაარსებული აღმზრდელი კომიტეტები შეს-
დგებიან მშობელთაგან—მამაკაცთა და დედა-
კაცთაგან და აღმზრდელთაგან. საფუძვლიანია
განა შიში, რომ ეს კომიტეტები იმოქმედებენ
მშობელთა სურვილის წინააღმდეგ?“ თითქოს
ამით ფაქტიურად თვით მშობლებს არ ერთმე-
ოდეს უფლება საკუთარი შვილების აღზრდისა!
აქ ხომ აღარ არიან დედა და მამა, რომლებიც
მხოლოდ თვითონ ზრდიან თავის შვილებს;
აღზრდა, ბებელის აზრით, გადადის ყველა
მშობლების და აღმზრდელების ხელში, რომ-

ლებიც, როგორც ერთი მთელი სწყვეტენ უმრავლესობის სურვილის თანხმად, რა ჰქმნან და როგორ ჰქმნან. გარდა ამისა, ნუ დავივიწყებთ, რომ აღმზრდელ კომიტეტს ზურგს უკან უდგას მთელი საზოგადოება, რომელიც ზრუნავს ამ საქმისთვის და რომელიც, უეჭველია, არ გაუშვებს მას თავისი ხელიდან.

ამ რიგად უეჭველია შემდეგი: როგორც საზრდოობა შეიღობა, ისე შემდეგი მათი აღზრდა შეადგენს, სოციალისტურს საზოგადოებში, საზოგადოების ერთ ერთს ფუნქციას. საზოგადოება აწარმოებს და ყურს უდგებს ამ საქმეს. ამასთან ერთად თავისთავად იფუშება ის უმთავრესი მიზანი ოჯახისა, რომლისთვისაც ქორწინება უნდა იყოს განუყრელი. მხოლოდ შეიღობის შობისთვის არ არის საჭირო უთუოდ მთელი სიცოცხლის ერთად გატარება და ერთად მუშაობა. მაგრამ ძალითაც რომ დაიკვან ქორწინების განუყრელობა ოჯახი სოციალიზმში მაინც დაემხობა. მშობლებს შინაგანად აკავშირებს ერთმანეთთან არა მხოლოდ შეიღობა ყოლა, არამედ შეგნება მისი, რომ მათს საერთო შრომაზე და მოკიდებული კეთილდღეობა და შემდეგი გზა შთამამავლობისა. მშობლებმა უნდა იზრუნონ შეიღობის საზრდოობაზე და აღზრდაზე: მათს მეცადინეობაზე და მოკიდებული შეიღობის სიცოცხლე, სისალე, ესა თუ ის საზოგადოებრივი მდგომარეობა, პატივი და აგრეთვე საუკუნო ცხონება. ამისი შეგნება აიძულებს მშობლებს შეუჩერებლივ იშრომონ. ყოველივე შექმნილი მშობელთა შრომით სასიკეთოდ მოხმარება მათს შთამამავლობას; აი ამ შთამამავლობას, რომელიც შეადგენს ღვიძლ მემკვიდრეებს, რომლებშიაც მშობელნი განაგრძობენ ცხოვრებას, ისინი უტოვებენ თავის მეცადინეობის და შრომის ნაყოფს.

მეორე მხრით, შეგნება მისი რომ შეიღობმა მშობელთაგან მიიღეს არა მარტო სიცოცხლე, არამედ აღზრდაც, საზოგადოებაში მდგომარეობაც, მოკლედ, ყველაფერი, ავალებს შეიღობს მშობლების გულწრფელ სიყვარულს. შეიღობმა იციან, რომ მათი სვებედი მჭიდროდ დაკავშირებულია მშობელთა სვებელთან, ამისგანაა

ოჯახში საზოგადო სიხარული და მწუხარებაც. ყოველივე ამისი ყოფნა შეუძლებელია სოციალიზმში, რომელსაც სურს ოჯახი ანაცვალოს საზოგადოებას. რა დაემართება მშობელთა ავტორიტეტს, თუ შეიღობმა შეიტყვეს, რომ მათ ზრდის სახელმწიფო და არა მშობლები, ან სახელმწიფო აძლევს მშობლებს აღზრდის ფასს? განა მისთანა სისტემა ხელს არ შეუწყობდა მოუფიქრებელ ქორწინებათა და შემდეგ ერთად ცხოვრების მოსპობას, რადგანაც სოციალიზმში ქორწინებას უცქერის, როგორც კერძო, პირად საქმეს?.

აღზრდა და სწავლა.

გადავავლოთ ალბა თვალი სწავლა-აღზრდის საქმეს სოციალიზმში. როგორც ზემო მოყვანილი ადგილებიდან სჩანს, ბებელი საკვირველად სასიკეთოდ შედეგს გვპირდება სოციალისტურ სწავლა-აღზრდის სისტემისაგან. მაგრამ წარმოიდგინონ მხოლოდ მშობელთაგან მოშორებული შეიღობები, ბევრნი ერთად შეგროვილები, ჯერ სათამაშო დარბაზებში და საბავშვო ბაღებში და შემდეგ სახალხო სასწავლებლებში, სადაც თამაშობით გადასცემენ მათ ცოდნის დასაწყისს. შეიძლება განა კმასაყოფელი იყვეს ამოდენ ბავშვთა ერთად აღზრდა? ჩვენ ამას შესაძლებლად ჩავთვლიდით, რომ სბქმე შეეხებოდეს სამხედრო გაწვრთნას, რომელიც საჭიროა სამხედრო სამსახურისთვის. მაგრამ ამ გვარი აღზრდის გაზოგადება უგუ-ნურებაა.

სოციალდემოკრატებს ვერას უშველის აწ არსებულ პანსიონებზე მითითება, სადაც ბავშვებს არა მარტო ასწავლიან, არამედ ინახვენ და ზრდიან კიდევ. გარდა იმისა, რომ ამ პანსიონებში შედიან ათი ან კიდევ მეტი წლის ბავშვები და რომ აქ შედის მხოლოდ ნაწილი ბავშვებისა, სოციალიზმი კი ყველა ბავშვების აღზრდას საზოგადოებას აკისრებს, მაინც უმთავრესი და ძირითადი გარჩევა აწინდელ და სოციალისტურ აღმზრდელ დაწესებულებათა შორის იმაშია, რომ აწინდელი აღმზრდელი დაწესებულებანი გულსხმობენ ოჯახს და დამყარებულნი არიან მასზე. მასწავ-

ვლებლები ეწევიან მშობლების მაგიერობას და აქვთ მათი ავტორიტეტი. თუ მაინც და მაინც ბავშვი გაუსწორებელი აღმოჩნდა, მაშინ მას, მშობლების და თავის სასირცხვილოდ, ითხოვენ. არაფერი ეს არ არის სოციალიზმში. დაუმატეთ ამას ისიც, რომ სოციალისტური ყრმები იზრდებიან უსარწმუნოებოდ, რომ გოგობიკები ერთპანეთში არიან არეულები და წარმოიდგინეთ, რანაირები იქნებიან ეს ყრმები. ამ შემთხვევაში მათრახი და შოლტილა თუ მიიჩვევენ ბავშვებს წესიერებას და მორჩილებას. რალა სიკეთე გამოვა ამ გვარი მხოლოდ გარეგანი იძულებით?.

მაგრამ ამითი არ თავდება ყველა სიძნელე. ყოვლად შეუძლებელია ყველა ბავშვები მიეცეთ ყოველმხრივი სწავლა და აღზნდა. თუმცა ბებელი კი ამტკიცებს წინააღმდეგს, მაგრამ ეს ცხადად შეუძლებელია. ჩვენ მზათა ვართ დავთანხმდეთ, რომ რაოდენადმე სწავლა აღზრდა ყველასთვის იქნება ერთნაირი. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ცნობილს ფარგალში, რომლის გარეშეც უთუოდ უნდა იყვეს რაიმე გარჩევა. ყველას არა აქვს ნიჭი უმაღლესი ცოდნისა და მია უმეტეს ყველა უმაღლესი ცოდნისა; ყველას არა აქვს ნიჭი და მიდრეკილება ყველა ხელოვნებისა და ხელობისადმი. ამიტომ. თუ არა სურთ იკმარონ უმდაბლესი ხარისხი სწავლისა, თუ არა სურთ, რომ ზერელე ცოდნა, ანუ ნახევარ ცოდნა გახდნენ საზოგადო წესად, მაშინ ძალიან ადრე, ჰასაკის მეცამეტე—მეთოთხმეტე წლიდან, უნდა გაყონ ბავშვები ერთმანეთისგან და დაუნისონონ ერთს ერთი საქმე, მეორეს მეორე. მაგრამ ვინ უნდა მოახდინოს ეს გაყოფა? შეუძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდოს თვით ბავშვებს, მათ მშობლებს, აღმზრდელ კომიტეტს ან ხალხის უმრავლესობას. თვით მშობლები კი მოისურვებენ რომ მიეცეთ მათ შეილებს უმაღლესი განათლება რადგანაც ხარჯი მათი საზრუნავი არ არის; მომეტებული ნაწილი ბავშვებისა, შეიძლება უფრო ნიჭიერებიც, დაკმაყოფილდნენ უკვე მიღებული სწავლით. კომიტეტზე მინდობა ამ საქმისა გამოიწვევდა ბავშვების არა სწორს განაწილებას და

ჩივილს იმ მშობლებისას, რომელთა შვილებიც არ მოჰყენენ ნიჭიერთა რიცხვში.

ასე, დაგერჩენია მხოლოდ გამოცდით გადაწყდეს საკითხი იმაზე თუ ვის რა მოქმედების ნიჭი აქვს. მხოლოდ ამ აზრით შეიძლება გაგება ერფურტის პროგრამის სიტყვებისა იმ მოსწავლეებზე, „რომლებიც, მათ ნიჭზე მიხედვით, სწავლის გაგრძელების ღირსად ცნობილ იქმნებიან.“ მაგრამ აქაც გვხვდება არა მკირე სიძნელენი; ორში ერთი: უმაღლესი განათლება ან იძლევა რაიმე უპირატესობას უკეთეს ქონებრივ უზრუნველყოფისა, უკეთეს საზოგადოებრივ მდგომარეობისთვის და სხვ., ან სულ არ იძლევა არაფერს უპირატესობას თუ არ იძლევა, მაშინ მკირედნილა გამოეკიდებიან მას; თუ მაღალ სწავლა-განათლებასთან შეკავშირებულია უფრო გამოჩენილი მდგომარეობა საზოგადოებაში, მაშინ იგი ჰქმნის არსებობის პირობათა უთანასწორობას, არღვევს ყველას თანასწორობის პრინციპს. კვალად, თუ ესა ან ის მდგომარეობა საზოგადოებაში დამოკიდებულია არა მხოლოდ ნაშრომის რაოდენობაზე, — რასაც მხოლოდ უნდა ექმნეს მნიშვნელობა სოციალიზმში—არამედ სხვა რაიმე პირობებზე და მოსაზრებებზეც, მაშინ რად უნდა მიექცეს ყურადღება მხოლოდ გონებრივს ნიჭს, რად უნდა იყვენენ უყურადღებოდ დატოვებულნი ზნეობრივი თვისებანიც, ბეჯითობა, მუყაითობა, ჩამომავლობა იმ მშობლებთანგან, რომლებმაც რაიმე სამსახური გაუწიეს საზოგადოებას? ბოლოს, განა უდიდესი სისასტაკე და უსამართლობა არ არის, რომ მთელი შემდეგი ცხოვრება კაცისა დამოკიდებულია სიყრმეში შკოლურ გამოცდაზე.

ამისვე მსგავსად, საკითხი შესახებ იმისა, თუ რომელი ხელობა ან ხელოვნება ასწავლონ ბავშვებს უნდა გადაწყდეს გამოცდისავე საშუალებით, რადგანაც აქაც შეუძლებელია ერთნაირად ყველასი და ყველაფრის სწავლება. თუ წარმოების ერთი რომელიმე დარგისთვის აღმოჩნდა მრავალი კანდიდატი, მაშინ მათ ზევიდან უნიშვნენ სხვა ხელობას და საქმეს. ამ რიგად, საზოგადოება აღრედანვე თავდარიგს იქერს წევრების სწავლებისა და პროფესიის

დანიშნვის თაობაზე. სოციალიზმი და თავისუფლება ერთმანეთთან მოუთავსებელი ცნებებია. სურვილი თავისუფლების შეერთებისა ნაციონალურ წარმოების ყოველ მხრივ წესიერ დაწყობილებასთან“ არის ღრმა შინაგანი წინააღმდეგობა, დამღუპველი სოციალიზმისა.

ნატარყანელი.



ყოველად სამღვდელო გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

(მოგონება)

(ძიხელ ამაშუკელის ნაამბობი).

მხედავ ამშუკელი ძრეულ მწუხარე იყო ძვირფასის მწუხმსთ-მთავრის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალების გამო. იმასთან თურმე განსაკუთრებით განწუხობილებს ჭჭონდა ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსს და ამისათვის დღიდან მისის გარდაცვალების მხედავ ამშუკელი მღვდლურ ცრემლებს ჭჭონდა და გულამოსკენით იგონებდა მისს ნაღმანაგებს და ნამოქმედარს. აი სხვათა შორის რას მოჭყვამს მხედავ ამშუკელი ყოვლად სამღვდელო გაბრიელ უპისკოპოსზე.

„შე ბეჭერი მინახავს, სთქვამს მხედავმა, ბეჭერი გამოვინახე, მაგრამ გაბრიელ ეპისკოპოსისა ყოველი მხრით განათლებული პირი ვი არსად მინახია და გავიგებთარ არსად გამოვინახე. მერე რა ნაირად გარდაცვლილას ის სულ განათლებულია? რა უთქვამს სიკვდილის უპის მოახლოების წინათ და რა ფრად შეგებების სიკვდილს?! დიდებს შენს სასკეს უთვალა, რომ ამისთანა გაცი მოგვეყრი, მოგვეგონე ჩვენ ჩვენს ცხონების გზაზე დასაყენებლად, ამობდა მხედავმა და ხელეპ ახურობილი ცან მისწერებოდა! აი რა უთქვამს იმას უკანასკნელ წუთას: „იფრან კურთხეულ საუკუნელო ჩემო სამწესო ამირიდან შეგვისამდლო!!“ შეიფარეთ ურთიერთნი, რათა მადლმან ღვთისამან დაამკვიდროს თქვენ შორისო!“ შენდობას ითხოვს თვის ნაჭირ-ნახულებს ამწესოსაგან და თავის მხრითაც შენდობილია ჭეოფის მის! აქვს სიუარული შეუდრეკელი, სათნოება და სიმშვიდე ჭეშმარიტი! ეს სთქვამს მოხუცმა

და დაწყო შემდეგი:—ერთსელ მათი მეუფება ჩვენში ბრძანდებოდა ეკლესიის საკურთხედ. განსკვნებული პირდაპირ ჩემსა მობძანდა დასაბინებლად. რადგან ეკლესიის კურთხევის შემდეგ ქადაგების თქმა უნდოდა ეკლესიის გადარჩენაში, ამისათვის დამავლას იქ სადმე მადლობა ალავი გამომეხსხს. მე დიდის პატივისცემით ავასრულე მათი მეუფების მონდობილობა.

ეკლესიის კურთხევის შემდეგ, განსკვნებული მწუხმსთ-მთავარი შედგა მალა ქვასე და იქიდან მოჭყვამს ჩვეულებრივ ცნებებრივ ადგინებულ სხის გამოქვეყნებით სიტყვების ჭეჭ-ჭეხილს. ის ქადაგებდა შესახებ ზნეობის გაუნჯობისობასა, ქრისტიანულ წესის დაცვას და სწავლა-განათლების გავრცელებას და სხ. ერთი სიტყვით ნათლად უჩვენებდა ჭეშმარიტს გზას, რომელზედაც უნდა ვლიდეს ყოველი ქრისტიანის სარწმუნოების აღმსარებელი.“

„ერთსელ ამის შემდეგ, სთქვამს მხედავ ამშუკელმა, როდესაც ჩემს მოძღვართან უსამოკრობა მომივიდა, მე მივმართე ნეტარ სსკნებულ ყოვლად სამღვდელო გაბრიელს.

ჩემს მოძღვარს, წმ. ზნეობის მიღების წინ ჩემი აღსარება სასახლად გამოემუყარებია. ეს რომ გავიგე, ძრეულ შევწუხდი და არ ვიციდი ვერ ვიდევ რა გზას დავდგომოდი: ჩემს თავში ათასხაირი იფრანები იშლებოდნენ. ეს ის დრო იყო როდესაც განსკვნებულ მსახურულ მწუხმსთ-მთავართან მივდიოდი. დავსწერე არზა, ჩავიდევი უბეში და გავსწიე ქუთაისს; მეორე დღესვე ავტვირე მათ მეუფებისთან. სანამ საარქიერო სასახლად მივიდიოდი, გზაში იქედამ მომავალი ნაცნობა თავადები შემსკდნენ. ჩვეულებრივ საღამის შემდეგ ჩემი განზრახვა გაუწეე მათ, რაზედაც ყოუმიანთ მიმასუსხეს: „შესამდლებელია სრულადაც არ მოგაქციათ ურადლეობა“. მიუხედავთ იმისა, რომ მე საწმუნოთ გუბნებოდი მათ, რომ უმტველად მომამტვიკის ურადლებასთქო, ისინი მანც თავისას გაიძნოდნენ და არ ვეროდან. მაგრამ წარმოადგინეთ მათი (თავადების) გავიარება, როდესაც მე თამამად უკითხვად შევედი მათ მეუფებისთან. (თავადები იქვე აღლოს უთვალთვალდნენ თურმე ამას). ღონიერ-გურთხევის გამოთხოვის შემდეგ განსკვნებულმა ეპისკოპოსმა გამომეითხა მშვიდობა ჩემი კერო და

ჩვენის სოფლისა საზოგადოდ.

— რაზე გასკოდსარ, მისეილ, შენ მშვიდობიანი კარა სარ, შენს სოფელში კია კარად გინცნობ, აღრეულობა სომ არაისთან მოგსკვლია, მათხარი!... მათხარა უოკლად სამდელოდ.

— სწორედ მომხდა, მეუფეო ჩემო! მაკუგე მე.

— რა იყო, რა ამბავი მოხდა თქვი!?
ეს რომ ბრძანა, მე არზა ამოვიღე და მიკარტვი. დაიწყო არზის კითხვა. შუაზე რომ ჩავიდა, შუბლი შეიჭმუნხა, მწუხარე სახის გამომეტყველება მიიღო; თან-და თან მელეკარება დაიქო.

— მოხ ის უბედური! საწყალი! რა უქნია! ამბობდა სულ აღშფოთებული. შემდეგ მომხბრუნდა მე ამ სიტყვებით:

— მამატივე, მისეილ ჩემო, ის უბედური დარბია, წვრილ ცოლ-შვილის მატონი. სულითა და სორცით დაღუპულს, იქნება შეუნდოს ღმერთმა და შენ ხორციელად ნუ დაღუპავ!

მე მაშინვე ვერ გადავწყვიტე, როგორ მოეჭნეულიყავ, და ისე გამოვბრუნდი არც „ქო“ მითქვამს მათი მეუფებისათვის და არც „არა“.

განსვენებულს უოკლად სამდელოდ კმისკოპოსს საქმე წარმოებაში მიეცა მანც და ჩემგან არ მიელოდა თუკმე უარის თქმას, საქმე, აშკარა იყო, ცუდად მიდიოდა. შემემუდარა თვითონ მოძღვარი, საქმე მომესპო შერიგებით. მე არ დამკაიუნია უოკლად სამდრდელო კმისკოპოსის ბრძანება. და მაშინვე მოგსპე საქმე, არა მოძღვრის თხოვნით, არამედ მწყმსო-მთავრის ბრძანებით, რომელიც შეკასრულე ერთი კვირის შემდეგ.

ამ საქმის გათავების შემდეგ, რამდენიმე თვე გავიდა, შემხვდა მათის მოუფების ნახვა სხვა ალაგას და რომ მნახა, ჩვეულებრივზე უფრო დიდათ მიმიღო, ისე გაუხარდა ჩემი ნახვა.

— მადლობელი ვარ შენი, ჩემო მისეილ, რომ ჩემი სიტყვა ასრულე და გეცდები. უკველად გადავიხადე მაგიერი მატონიცემ, მათხარა იმან.

ამის შემდეგ არ განუღა დიდა ხანი, რომ ხუდმნათმ დგთავ განისიუნს! სოქვა მოხუცმა და

ცრემლებმა დაბა-ღუბი დაიწყეს იმის ჩავარდნად თვალებიდან. *)

კ. გრილი.

1896 წ. აორილის 20



წმ. ღაპითი და კონსტანტინე.

„მზათა ვართ სახელისათვის ქრისტიანისა ყოველსავე გვემასა და ტანჯვასა ცეცხლსა და წყლსა, მახეილსა და სიყვილსა. ესე არს სარწმუნოება ჩვენი ქრისტიანისა“.

„ვერამან კირმან და არცა დიდებამან ამის საწუთოსამან ვერ განმარწონეს ჩვენ სიყვარულსა და სარწმუნოებასა იესო ქრისტესა“ (წმ. დავით და კონ—ნე).

გიხაროდენ ახოვანო დიდ-სულო მხნეო და ყოვლოდ შეუძვრელო სვეტო სიმხნისაო დავით, რომელმან სახელ-დიდ და საჩინო ჰყავთავი შენი ნათესავთა შორის, გიხაროდენ კონსტანტინე, რამეთუ შენ შორის ხატნი ცხოველს-მყოფელთა ვნებათანი, ვითარცა ცხოველთ-მხატვარმან ბრძენმან გაჰმოსწერენ, ხოლო განჰზავენ ტაკუქსა შინა ძღვევისა იგი საღმრთონი და სასაქებონი საინოებანი და პირის-პირ დაუდგინენ ურთიერთ არს სიმხნე ქვეყნიერისა მხედრობისა და ზეციურისა სტრატოტობისა...

„წყარო არს ნიქთა კურნებათასა ნაწილნი თქვენნი ყოვლოდ ბრწყინვალენი, მარტვილნო, ხოლო მდინარე ნიშთა საკვირველთა ღარანკი ძვალთა თქვენთა წმიდათა“...

„ვჰნატრი ძმობასა შეერთებულსა სულისა მიერ წმიდისა და უგალობ ღვაწლთა სიარებასა ქრისტეს მიერ, ვაქებ სიმხნესა ყოვლოდ სახელოვანსა და შევასხამ სპარაზენობასა დიდე-“

*) ბეჭდავს რა ამ არ დიდმნიშვნელოვან წერილს, რედაქცია აუწყებს ყველას, რომ იგი დიდის სიამოვნებით მიიღებს და დასტამბავს ყოველგვარ შენიშვნებს და მოგონებებს, რომლებიც ასე თუ ისე შეეხებოდნ სულმნათის მამა ვაბრიელის პიროვნების დახასიათებას.

ბულისა, ჰოი დავით, დიდო მნათობო სოფლი-
საო, და კონსტანტინე, მაგალითო საღმრთო-
ისა მის სასურვოსა მხედრობისა“.

ასე აღიდებს, წმიდა ეკლესია საქართვე-
ლოისა ორთა წმიდათა ძმათა, დავითსა და
კონსტანტინესა; ასე მოგვითხრობს იგი მათ
მტკიცე სარწმუნოებაზე, ასე შეასხამს ფრთებს
მათ მამულის-შვილობას, გმირობას, ვაჟაკო-
ბას, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავ-
დადებას, ასე აქებს იგი წმ. ძმათა მოწამეთა
არგვეთის მთავართა დავითს და კონსტანტინეს!
ამ ქება-აღიდეგასთან ერთად მთელი საქართვე-
ლოს ერთი ყოველს წელს ორს მწიფობისთვის
თავს იყრის მათ წმიდა გვამთან მოწამეთა სავა-
ნეში და ლოცულობს მათზე. აი აგერ მოხუ-
ცი და ყმაწვილი, მამაკაცი და დედაკაცი მდი-
დარი და ღარიბი, უშვილო და შვილიანი,
ქვრივი და ობოლი, ჯანმრთელი და სნეული
წმიდა გვამს შემოხვევიან და ზოგი სანთელს
და კელატრებს უნთებს, ზოგი გუნდრუკს უკ-
მევს, ზოგი მუხლებზე დავარდნილია და ევედ-
რება, ზოგი წყალობასა სთხოვს, ზოგი მად-
ლობას უძღვნის თხოვის შესრულებისათვის და
ზოგიც სნეულობისაგან განკურნებას მოელის.
ამ სახით წმიდა მოწამენი „ვითარცა მნათობნი
ქართველთანი, ყოველსა სოფელსა განაცის-
კროვნებენ“.

დიად დიდი ღვაწლი მამულისა, სარწმუ-
ნოების და ეკლესიის წინაშე მოითხოვს
დიდს, დაუსუსტებელს ქებასა და პატივის ცემას!
საქართველოც ვერ დაივიწყებს ღვაწლს თვის
ეკლესიის ერთგულ შვილებისას. იმას მუდამ
გათვალისწინებული აქვს ის სისხლის მორევი,
რომელშიდაც ოდესმე ეს წმიდანი გვამნი სკუ-
რავდნენ ბრძოლის ველზე, სადაც არა ერთი
და ათასი შვილი ეკლესიისა დახოცილან მო-
ძმისათვის, სამშობლოსათვის და სარწმუნოე-
ბისათვის.

რა დრო იყო, ეს დრო? რა გაქვირება
დასდგომია საქართველოს? რა მამულის შვი-
ლობა გამოუჩენიათ ამ წმიდა გვამთ დავითსა და
კონსტანტინეს? რად აღიდებს ასე დღეს მათ სა-
ხელს საქართველოს ეკლესია? ყოველივე ამას

მოგვითხრობს ჩვენ ცხოვრება ამ ორთა წმი-
დათა გვამთა.

როცა ჯერ კიდევ არ გამშრალიყო
დედა-მიწა, მორწყული ეკლესიის ერთგულთ
შვილების სისხლით, და ჯერ კიდევ ვერ მოე-
სწრო დამარხვა ძმას ძისა, ცოლს ქმრისა, მა-
მას შვილისა, შეშინებული და გადარჩენილი
სიკვდილს ხალხი კიდევ არ გამოსულიყო ტყიდ-
გან, სადაც მტერს დამალვოდა, აი ამ დროს
მოისმა საქართველოში ახალი მაგრამ უფრო
საზარელი ხმა: მურვან ყრუ ურიცხვი ლაშქრით
შემოესია საქართველოს და ქრისტიანობას მოს-
პობას უპირებსო!

„აღძრა მან, მოგვითხრობს შემატინე,—
თესლ-ტომი წარმართთა, მიშვებითა ღვთისა,
სამხილებელად ცოდვითა ჩვენთა, განილაშქრა
ქვეყანასა ზედა ერსა საბერძნეთისასა, ააოხრა
და ტყვე ჰყო ქვეყანასა ბერძნეთისა და სომხე-
თისა და მერმე მოეფინა ვითარცა ღრუბელი
ბნელისა სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმ-
ლი არეთა ჩრდილოეთისათა—საქართველოს
დაჰვარა პირი ქვეყანისა და შეშინებულ იქმნეს
გულნი კაცთანი.“ საზარელმა ამბავმა არგვე-
თის საერისთაომლისაც მოაღწია და ყოველი
ქრისტიანენი შეაძრწუნა. მაშინ არგვეთის
მთავართა ორთა ძმათა დავით და კონსტანტი-
ნემ, ქალწულთა ხორცითა, ქეშმარიტ მორწმუ-
ნეთა და გამოცდილთა, ორთავე სავსეთა სუ-
ლითა წმიდითა, შეიმოსეს ძალი ღვთისა, შეი-
კრიბეს ლაშქარი, ახსენებდეს სახელსა ღვთისა-
სა, განაძლიერებდეს ერსა მორწმუნესა ლოც-
ვითა, გალობდეს გალობასა დავითისასა (რო-
მელ თქვა, ოდეს იგი გავიდოდა ბრძოლად გო-
ლიათთანა)... მიუპყრა წმ. დავით სახელი ქრი-
სტესი ფარად, განაძლიერა გუნდნი თვისნი,
აღიზახა ვითარცა ლომმან“, მტერი განაქცი-
ეს მრავალნი მოსრნეს და „აღუდგინეს ძლევა
ქრისტიანეთა“.

მაგრამ სიხარული მალე შეიცვალა მწუ-
ხარებად! ესმა რა ესე მურვან ყრუს, „იკრა
მან პირსა თვისსა ხელი და თქვა: ვინ მკადრა,
რომ წინააღუდგა დიდსა მოციქულს მახმედს,
ბიძასა ჩემსა“. შესძახა ფრცხლად სიმრავლეთა
წარმართთა, წარმოემართეს, ვითარცა ქვიშა

სიმრავლითა, მოვიდნენ ქვეყნად არგვეთისად, მოიცვენს ტყე და ველი, მოემწყვდეს ხელთა მათთა ქრისტეანენი და მათ შორის დატყვევებულ იქმნენ წმ. დავით და კონსტანტინეც, რომელთაც შეუკრეს ხელ-ფეხი და მიჰგვარეს მურვან ყრუს. იხილნა რა იგინი წინაშე მდგომარენი, ფრიად განიცინა მურვან და სთქვა: „ვინა ხართ ქვათა და შეშათა (ე. ი. ჯვარის) მსახურნი, რომ იბრძვით ჩემდა? არა უწყითა, რომ მე ვარ დისწული დიდისა მახმედისა და დამიმორჩილებიეს ყოველი ქვეყანა?“ წმიდა მოწამეთ მიუგეს: „სიცილი და სიქადული ცუდ და ამო არს ჩვენ ზედა... რამეთუ... დედის ძმა შენი მახმედი რომლისათვისაც იქადი, მაცდურ და წარმწყმედი იყო ნათესავისა თქვენიცა“. ხოლო მურვან განრისხნა ფრიად და უბრძანა სასტიკად ცემა ჯოხებითა ბირთა მოწამეთათა; ესენი კი მოითმენდეს და მადლობდეს ღმერთსა“.

მაშინ მურვან მიმართა წმ. დავითს სხვანაირი მოხერხებით: „როგორც მითხრეს მე, სთქვა მან, შენ ყოფილხარ კაცო გონიერი და თავი ამა ქვეყნისა: აწ ისმინე ჩემი კეთილი განზრახვა, და უტრევე ქრისტე დაემორჩილე სჯულსა მახმედისასა და გყო თქვენ მთავარ და დიდებულ ყოველსა სპარსეთსა და არაბეთსა ზედა“.

—„ნუ იყოფინ ჩვენდა ესე, — მიუვო დავით, რომ ჩვენ დავუტევეთ ნათელი და შევუდგეთ ბნელსა .., არა ვმონებთ სხვასა სჯულსა ცუდსა, არამედ მზადა ვართ სახელისათვის ქრისტესისა ყოველსავე გვემასა და ტანჯვასა, ცეცხლსა და წყალსა, მახვილსა და სიკვდილსა, ესე არს სარწმუნოება ჩვენი, ქეშმარიტი ქრისტეანობა, ისმინეთ ყოველმან გუნდმან სპარსთა და არაბთამან.“ — „ნუ იყოფინ ჩემდა მორჩილება ბრძანებისა შენისა, არამედ ვითარცა სწამა და აღიარა უფალმან ჩვენმან, მეცა ვსწამებ და ვაღიარებ, რამეთუ ერთსა სჯულსა და ერთსა სარწმუნოებასა განსწავლულ ვართ და მრწამს მამა და ძე და სული წმიდა და მისთვის მოვკვდები“.

მაშინ განრისხდა მურვან, „მოუწოდა მტარვალთა ყოველადვე უწყალოთა და უბრძანა,

რათა არა იხილონ გემო არცა პურისა, არცა წყლისა, და ყოველთა დღეთა სტანჯვიდნენ მრავალფერითა სატანჯველითა უსვენებლად, რათა ქირითა ამით და ტანჯვითა უნებლიეთ აღიარონ სჯული მახმედისა“.

მაგრამ ქეშმარიტმა სარწმუნოებამ არ იცის შედრეკა. „ვერამან ქირმან და არც დიდებამან ამა საწუთოსამან — მიუგეს მათ მტარვალს, ვერ განმაშორნეს ჩვენ სიყვარულსა და სარწმუნოებასა იესო ქრისტესა; არამედ მზადა ვართ სახელისა მისისათვის შიმშილისა და წყურვილისა... ნიჭი და დიდება, თქვენ მიერ მონიჭებული, საძულველ და საძაგელ არიან წინაშე თვალთა ჩვენთა, ხოლო სასოება ჩვენი და დიდება ქრისტე არს და სიკვდილი სახელისა მისისათვის საწადელ“.

მსვენელმან ამსამან, მურვან განრისხდა უფროს პირველისა და უბრძანა სიკვდილი მათი ყოველად საზარელი: შეუკრეს ხელ-ფეხი, გახადეს სამოსი, დაჰკიდეს თავდაღმა, სცემეს კეტებითა, დაჰკიდეს კისერზე დიდი ლოდები და დააპირეს წყალში გადაყრა.

მაშინ წმ. დავით და კონსტანტინემ, იხილეს რა აღსასრული თავისა, აღიხილნეს თვალნი და შევედრეს უფალსა: „ჰოო უფალო ღმერთო იესო ქრისტე... შეისპინე ვედრებანი და თხოვანი ჩვენ მონათა შენთანი და ვითარცა დავიბარხენით ხორცი ჩვენი უბრწუნელ და შეუგინებელ სახელისა შენისითვის წმადისა, აგრეთვე შემდგომად წამებისა ჩვენისა დაჰმარხენ გვამნი ჩვენი გნუხრწნელად და დაურღვეველად და რომელთა ჰხადონ სახელითა შენითა წმიდითა სახელსა ჩვენსა, მსწრაფო ეწიენ წყალობა შენი და მიეც შენდობა ბრალთა და ჰყვენ ასონი ჩვენი მკურნალ ყოველთა სენთა და უძლურებათა დიდებად ყოველად საგალობელისა სახელისა შენისა“.

ამის შემდეგ, თანახმად ვედრებისა მათისა, დაიბეჭდა ღვთით გვამი მათი ცხოველს მყოფელითა ჯვართა, ხოლო მტარვალთა მათ აღილეს და გადააგდეს მდინარეში.

იმავე ღამეს გამოჩნდა მდინარეში სვეტი ნათლისა და განაბრწყინვა არემარე; წმიდა გვამებს შეეხსნათ ლოდი და მოიწიეს წყლის ნაპირას

შესახედავად მრავალთა პირთა, რომელნიც შიშისაგან მურვანისა მიმალული იყვნენ იქვე; და მოესათ მათ ხმა მალლით: „აღიხვენით გვამნი წმიდათა შავათ მოწამეთანი და წარიყვანეთ ტყით კერძო აღმოსავლეთით და სადაცა გათენდეს, მუნ დაკრძალეთ, რამეთუ მუნ არს ბრძანება ღვთისა“. მათაც ჰყვეს ესე ყოველი, წამოასვენეს გვამი იმავე ღამეს და გათენებისას იხილეს კლდე წყალწითელისა, მასსზედ დიდებული ძველი ეკლესია, დანგრეული მურვან ყრუსაგან, მას ქვეშ დაცალიერებული აკალდამა და დაასვენეს წმ. გვამები შიგ. მეთერთმეტე საუკუნეში მათ აღშენა ეკლესია ბაგრატ მეფემ და შემოასვენა იგინი შიგ „კუბოთა მშვენიერთა“.

ესე არს ძლევა, რომლითა ჰსძლევეს სოფელსა, სარწმუნოება ჩვენი (I, იოან. 5, 4.) ასეთთა, ძალა სარწმუნოებისა! იგი დიდი ბურჯია კაცის ცხოვრებისა, საფუძველია და მიზეზი ყოველივე წარმატებისა. არა ერთი და ორი პირი გაუბრწყინებია, დაუახლოვებია ღმერთთან, დაუმკვიდრებია ქებულთა შორის, გაუბედნიერებია ამ სოფლად და გამოუყვანია ძლევა მოსილი და მრავალს გაჭირვებიდგან. არა ერთსა და ორს საკვირველს მაგალითს ამისას (სარწმუნოების ძალისას) მოგვითხრობს ჩვენ, საღმრთო წერილი. აბელმა სარწმუნოებით შესწირა ღმერთსა საუკეთესო მსხვერპლი, რომლისაგან იწამა, ვითარმედ მართალ არს, სარწმუნოებით ენოქ ამაღლდა ზეცად ცოცხლად, რათა არა იხილოს სიკვდილი... სარწმუნოებით აბრაამ მოწოდებულ იქმნა ალექსის ქვეყანაში და მოვიდა და არა უწყოდა, ვიდრე მოვიდოდა, სარწმუნოებით შესწირა მან ღმერთსა მხოლოდ შობილი ძე თვისი ისააკ, სარწმუნოებით მოსემ დაუტევა ეკვიპტე და არა შეეშინა გულის წყრომისა მისგან მეფისა, რამეთუ უხილავი იგი (ღმერთი) ვითარცა ხილული შერაცხა სარწმუნოებით; რაა აბი იგი შეძავი არა წარწყმდა ურჩთათანა, სარწმუნოებით წმიდა მამანი ჩვენი ერეოდნენ მეფეთა, იქმოდეს სიბართლესა, მიემთხვივნენ ალექსასა, დაუყენეს პირნი ღოთთანნი, დაპშრიტეს ძალა ცეცხლისა, განერნეს პირსა მახვილისასა, გაქნსძლიერდეს

უძლეობისაგან, იქმნეს ძლიერ ბრძოლასა შინა, ბანაკები აოტეს უცხო თესლთა... ხოლო სხვანი სარწმუნოებისათვის ტანჯვითა და გვემითა განიცადნეს, შერე კვალად ბორკილებითა და საპყრობილებითა, ქვითა განიტვივნეს, განიხერხნეს, განიცადნეს, სიკვდილითა მახვილისათა მოსწყდეს, იქცეოდეს ხალხებითა და თხის ტყავებითა, ნაკლულევიანი, ქირვეულნი, ძვირხილულნი. „ვინ განმაშორეს ჩვენ სიყვარულსა მას ქრისტესსა, — ამბობს წმ. მოციქული პავლე, — ქირმან, ანუ იწროვებამან, დევნამან, ანუ სიყმილმან, შიშოვებამან, ანუ ურვამან, ანუ მახვილმან?... რამეთუ მრწამსს მე, ვითარმედ არცა სიკვდილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღმრეთა, არცა სხვამან დაბადებულმან შემძლოს ჩვენ განყენება სიყვარულსა ღვთისასა, რომელ არც ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩვენისა (რომ. 8, 38, 39 — 40).

„ესე არს ძლევა, რომლითა სძლევეს სოფელსა სარწმუნოება ჩვენი“ — იტყვის წმ. მოციქული იოანე ღვთის მეტყველი.

მაგალითებით ცხოველის და ძლევა მოსილის სარწმუნოებისა ავსილია ჩვენი წარსული, შემკულია მათით საქართველოს ეკლესიაც, სარწმუნოებამ მისცა ძალა მოთმინებისა წმ. დავითს და კონსტანტინეს, ვერა ტანჯვამან ვერ განაშორა იგინი სიყვარულსა ქრისტესსა; სარწმუნოებისთვის მაშკრალ და ტვირთ მძიმე იქმნა საქართველოში წმ. ანდრია მოციქული, სიყვარულმა ქრისტესმა მოიყვანა საქართველოში წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი, სარწმუნოებისათვის წმ. გიორგი დაგლეჯილ იქმნა ურმის თვალთაგან და „წარუპყრა ქედი თვისი მერხმლეთ ხმალსა, ხოლო მხედართა მათ მოჰკვეთეს წმიდა თავი მისი, და ესრეთ სრულ იქმნა წამება მისი“. წმიდა მოწამე რაჟდენ „უმეტეს სხვათა ქართველთა უმზურვალეს ებრძოლის ცეცხლის თაყვანის მტემელთა სპარსთა, პირი მისი იცემა ძლიერად და უწყალოდ ესოდენ ვიდრე კბილთა სრულიად შემუსრვადმდე, მოიფხვრეს კბი-

ლნი მისნი და აღიესო ადგილი იგი (კბილე-
ბისა) მძაფრ მომდინარე სისხლითა“. და ბო-
ლოს ქრისტესაებრ დამსკვალულ იქმნა ძელსა
ზედა“, სარწმუნოებისათვის ესტატე მცხე-
თელი „იქმნა თავმოკვეთილი უსჯულოთაგან
და განბნეულ გვამი მისი შესაქმელად მხეცთა
და ფრინველთა“, სარწმუნოებისათვის თავმო-
კვეთილ იქმნა არჩილ მეფე; აბო თბილელმა
თავი მიუშვირა მახვილსა და მოიკვეთა იგი,
„რადგან გონება მისი ქრისტესთან იყო ზეცას“;
ქრისტიანობისათვის დედოფალმა ქეთევან თა-
ვი იწამა უსჯულოისა შახაბაზისაგან, „ოდეს მარ-
წუხთა დაჰგლიჯეს ძუძუნი მისნი“... და ცეც-
ხლებ სწვიდეს საშანელ, რამეთუ ნაბერწყალთა
სროლამდე განხურვებულ იყვნეს და იპებოდიან
ხორცი და ლურსმანნი გახურვებულნი ხორც-
თა შინა განვლიდიან.“

მღ. მ. კელენჯერიძე.
(შემდეგი იქნება).

ა კ ა კ ი ს!

(50 წლ. იუბილეს გაზ.)

დიდო მგოსანო, ქართველისა მამაე!
დღე გავკითენდა სანატრელია,
შესრულდა შენი დიად მწერლობის
უკვე ორმოცდა ათი წელია!
მით ყველა ხარობს, ყველა გადიდებს,
გულით გიძღვნიან შენ დღეგრძელობას,
შენსა მარჯვენსა, შრომითა დაღლილს
კვლავ უსურვებენ კეთილ დღეობას!..
შენი სახელი და შენი სახე
ღრმად ხალხის გულში ჩამარხულია,
შენი კალამი ტურფა უმანკო
ქვეყნის ზურგზედა დღეს განთქმულია!
არ შეასვენო ოქროს სიმები
კიდევ დაუკარ ჩანგი-ნალარა,
არ გაახარო ქართველისა მტერი,
დიდო პოეტო!.. წვერო ქაღარა!..

8 ოქტომბერი 1908 წ.

დათიკო კიპაძე.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მახვლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ზ ა

იყიდება დეკანოზის ნესტორ ყუბანეიშვილის
მიერ შედგენილ გამოცემული წიგნები:

1, პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო
სჯულის სწავლებაზე. ეს წიგნი შესდგება ოთხი
განყოფილებისაგან: ა) ღოცვები, ბ) ძველი და ახალი
აღთქმის საღვთო ისტორია, გ) მოკლე კატეხისმო
და დ) სწავლა ღვთის მსახურებაზე. ეს წიგნი მა-
ღებულის ეკლესიის სამრევლო სკოლებში და საერო
დაბავს სარისხის სსსწავლებლებში. ფასი 20 კაპ.

2, კაიაფას ვატიშვილი, ისტორიული მთ-
ხსრობა ქრისტეს დროიდან; მასში გამოხატულია
იმ დროის კბრალთა ზნე ჩვეულება, შეიცავს 30
თავს, 247 გვ. ფასი 50 კაპ.

3, მესამე ოქრო, მცირე მთხრობა კაცის
სიხსარბე-გაუმაძღრობაზე, ფასი 5 კ.

4, გზა ცხოვრებისა. მაგალითნი მოეწინაა
სხვა და სხვა მადლ ზნეობის კაცთა ცხოვრებ-
დან. წიგნში არის §§ 69 და ღირს 30 კ.

5, მამა დავით გარესჯელის ცხოვრება
ფასი 10 კ.

6, ცოლ-ქმრობა ფასი 5 კ.

7) ქრისტიანობა და დემოკრატია—ქრი-
სტიანობა და სოციალიზმი. ნათარქმნი პრაფეს-
სორ ანატოლ ლერუა ბოლდეს წიგნიდან ფასი
15 კაპ.

ეს წიგნები იყიდება თბილისში და ქუთაისში
წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგილიდან წიგნ-
ბის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

Кутаисъ. Протоіерейу Н. Кубаней-
швили. წიგნის მაღაზიებს და სოფლის მსწავ-
ლებლებს, კანც მთგანი ხაღდ ფულზე გამოაწერს
არა ნაკლებ 10 მანეთის წიგნს, დაეთმობა 20 პრა-
ცენტო. გავზავნა შეადეკლას ხარკით.

